



დეკანოზი ნიკოლოზ ბალაშოვი – პატრიარქ ბართლომეოსის კიევური სიტყვების შესახებ



მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარის მოადგილემ რია-ნოვოსტს გაუზიარა აზრები კიევში კონსტანტინეპოლის პატრიარქ ბართლომეოსის გამოსვლებთან დაკავშირებით, რომლის ვიზიტაც ქვეყნის დამოუკიდებლობის 30 წლისთავს უკავშირდება.

კიევში პატრიარქ ბართლომეოსის გამოსვლებში ისმოდა ერთი და იგივე თემის მრავალჯერადი განმეორება.

აი, რაზე ილაპარაკა პატრიარქმა.

ე.წ. „მეუ“-ს, რომელიც შედგება სქიზმატური დაჯგუფების წარმომადგენლებისგან, ავტოკეფალია (ეკლესიური დამოუკიდებლობა), თითქოსდა, სრულიად კანონიერად მიენიჭა. კონსტანტინეპოლის კათედრის მოჩვენებითი „პრივილეგიები“, რომლებიც მას, ვითომდა, სხვა ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიებთან მიმართებით ერთპიროვნული გადანიშნულებების მიღების უფლებებს აძლევს, ასევე, თურმე სავსებით კანონიერი და კანონიკურია. კონსტანტინეპოლს თითქოს არაფერი შეუცვლია ტრადიციულ მართლმადიდებლურ ეკლესიოლოგიაში (სწავლება ეკლესიის შესახებ); პირიქით, მისი სიტყვებით, მას ცვლიან ისინი, ვინც დღეს არ ეთანხმება პოზიციას, რომლის მიხედვითაც ყველაფერში უნდა დაემორჩილო ყოველთვის შეუცდომელ „250 (თუ 300) მილიონი მართლმადიდებელი ქრისტიანის სულიერ ლიდერს მთელს მსოფლიოში“, – როგორც მოსწონს „მწვანე პატრიარქს“ საკუთარ თავის წარმოდგენა. ყოველ შემთხვევაში, ადრე მოსწონდა; ახლა კი უკვე ყველასთვის ცხადია, მართლმადიდებელ ქრისტიანთა უმრავლესობა პატრიარქ ბართლომეოსს არ თვლის თავის სულიერ წინამძღოლად მას შემდეგ, რაც მან განხეთქილების გამომწვევი საქმეები ჩაიდინა.

პატრიარქ ბართლომეოსის კიევური რიტორიკა აჩვენებს, რომ მის უწმინდესობას ანუხებს კრიტიკა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს არაკანონიკური შეჭრის გამო უკრაინულ საქმეებში, რომელიც ისმის მრავალი მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელთმთავრების, ღვთისმეტყველებისა და ისტორიკოსების მხრიდან.

ხოლო გასცეს დამაჯერებელი პასუხები, რათა მართლმადიდებლური ოჯახის სხვა ადგილობრივი ეკლესიები აღძრას იმად, რომ აღიარონ ახალმოვლენილი ავტოკეფალია – „უკრაინის უწმინდესი ეკლესია“, – პატრიარქს არ გამოუდის. ის უბრალოდ ერთსა და იმავეს იმეორებს, რომ ყოველთვის მართალია, რადგან კონსტანტინეპოლის საყდარია ყოველთვის მართალი; რომ „ქრისტეს დიდი ეკლესია“, რომელთანაც ის საკუთარ თავს აიგივებს, არ საჭიროებს ვინმესთან რამე საკითხზე ბჭობას, იმიტომ, რომ არასდროს სცდება და თავდადებულ ზრუნვაში მსხვერპლად ეწირება ჩვენს საყოველთაო სიკეთეს – და ყველა მართლმადიდებელს სთავაზობს, ირწმუნოს ეს, თორემ სხგვარად, მათლმადიდებლები არ იქნებიან.

მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩვენ, მართლმადიდებლებს, არასდროს გვექონია სარწმუნოების ასეთი დოგმატი. კონსტანტინეპოლის პატრიარქი სრულებითაც არ არის რომის პაპი; და ჩვენთან, მართლმადიდებლებთან, არ შემდგარა ვატიკანის პირველი კრება. პაპის infallibilitas (ცდომილების შეუძლებლობა) ჩვენი კათოლიკე-ძმების წარმოდგენითაც კი, – რომლებსაც ასე გამალებით უახლოვდება დღეს ფანარა, დაკავშირებულია სერიოზულ შეზღუდვებთან.

კიევის წმ. სოფიას საკათედრო ტაძრის კედლებთან თავის სადღესასწაულო სიტყვაში, პატრიარქი ჩივის რაღაც „ნეოლოგიზმებზე, ახალ ფორმულირებებზე და სახიფათო ეკლესიოლოგიურ შეხედულებებზე“, ასევე, „საეკლესიო დადგენილებების გადატრიალების მცდელობებზე“, და რომ ყოველივე ეს ემსახურება „კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსის მნიშვნელობის დაკნინებას“ თითქმის „სამუზეიმო ექსპონატის“ მდგომარეობამდე. იგი აღიარებს კიდევ, რომ „ბევრია ისეთი, ვისაც მიაჩნია, თითქოს მსოფლიო პატრიარქი სინამდვილეს გაურბის“. პასუხად კი, – როგორც ჩანს, მაინც გრძნობს თავისი ახლანდელი არგუმენტაციის არასაკმარისობას, – ჰპირდება „უახლოეს მომავალში“ აჩვენოს „შესაბამისი ტექსტები და ამ (უკრაინული) საკითხის მთელი მსვლელობა“.

მაგრამ, საქმე ისაა, რომ „შესაბამისი ტექსტებისა“ და საკითხის ისტორიული მსვლელობის ერთად შესწავლას დიდი ხანია კონსტანტინეპოლის პატრიარქს სთავაზობს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი კირილე, მათ შორის – თავისი უკანასკნელი ვიზიტისას ფანარაში 2018 წლის აგვისტოში. მაშინ პატრიარქმა ბართლომეოსმა უპასუხა, რომ მას ამის დრო არ ჰქონდა და, საერთოდ, მისთვის ისედაც ყველაფერი ნათელი იყო. თუკი ახლა ტექსტებისადმი ინტერესი განახლდა, ჩვენ შეგვიძლია მათთვის რეკომენდაცია გაუწიოთ მშვენიერ გამოცემას: „კიევის სამიტროლიტოს შეერთება რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან. 1676-1686 წწ.: კვლევები და დოკუმენტები“ («Воссоединение Киевской митрополии с Русской Православной Церковью. 1676-1686 гг.: Исследования и документы»), რომელიც 2019 წელს გამოქვეყნდა „მართლმადიდებლურ ენციკლოპედიაში“ ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტ ილარიონის საერთო რედაქციით. იქ ყველაფერია შეკრებილი, რაც აუცილებელია. ნიგნში 912 გვერდია, არქივიდან 216 დოკუმენტია მოხმობილი. უკვე მიმდინარეობს მისი ბერძნულ ენაზე თარგმნა, თუმცა, რა თქმა უნდა, ამას დრო დასჭირდება. მოკლე სახით ძირითადი ისტორიული მასალა კარგად არის წარმოდგენილი კიკოსის მიტროპოლიტ ნიკიფორეს ნაშრომში „თანამდროვე უკრაინის საკითხი და მისი გადაჭრა საღვთო და წმინდა კანონების თანახმად“ («Современный украинский вопрос и его разрешение согласно Божественным и священным канонам»), რომელიც ხელმისაწვდომია ბერძნულ და ინგლისურ ენებზე, რუსულ ენაზე კი აგერ-აგერ გამოვა ტიპოგრაფიიდან.

თუმცა ნაკლებ სავარაუდოა, რომ მსოფლიო ბედის განმკარგავებს ბოსფორის სანაპიროებიდან, სადაც სამასწელზე მეტი ხნის ისტორიული სინამდვილე კალმის ერთი მოსმით უქმდება, სქიზმატები და ანათემას გადაცემულები კი იმავე სიმსუბუქით „მართლმადიდებელ იერარქებად“ გარდაისახებიან, რამდენადმე მაინც დააინტერესოს ისტორიისა და კანონების სიმართლე. ამ უკანასკნელების შესახებ კონსტანტინეპოლის პატრიარქმა საჭიროდ ჩათვალა ყოველი შემთხვევისათვის კიევში ეთქვა, რომ მათი განმარტება „მინდობილია არა კაბინეტის მეცნიერებისთვის“, არამედ ვისთვისაც საჭიროა. თქვენ ხომ გესმით, არა.

„ბატონებო, ნუთუ თქვენ ფიქრობთ, რომ სახელმწიფო – ეს თქვენ ხართ? სახელმწიფო – ეს მე ვარ!“ –

გამოუცხადა ოდესღაც ლუდოვიკო XIV საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატებს.

„L'église c'est moi! (ეკლესია – ეს მე ვარ!)“, – ისმის, თითქოსდა, ამჟამად კიევი გამოთქმულ სიტყვებში... სირთულე მხოლოდ ისაა, რომ ამისი რატომღაც ყველას არ სჯერა...

წყარო: <https://mospat.ru/ge/news/87923/>